აქტი
ინტერესთა კომპლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი

18.04.2013

საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" მიერ სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურეობის შესყიდვის მიზნით 2013 წლის 16 აპრილს გამოცხადებულ N720 კონკურსზე ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებთან ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე:	თამაზ ვარვარიძე
კომისიის წევრები:	რუსუდან ერისთავი
	ბექა ბერიძე
	ანი კლდიაშვილი
	ნოდარ ამაშუკელი
	ქეთევან ქავთარაძე
კომისიის აპარატის წევრი:	თეიმურაზ შანიძე

ააიპ – თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურეობის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

კომისიის შემადგენლობა:

თამაზ ვარვარიძე - თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის გრაფიკის მიმართულების ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე)

ნოდარ ამაშუკელი – თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი (კომისიის წევრი)

რუსუდან ერისთავი - თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი)

ბექა ბერიძე - თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების კოორდინატორი (კომისიის წევრი)

ანი კლდიაშვილი - რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი)

ქეთევან ქავთარაძე - თსსა დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის მარტვის სამსახურის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი)

საკონკურსო კომისიის აპარატის შემადგენლობა:

თეიმურაზ შანიძე - შესყიდვების კოორდინატორი

სხდომა ჩატარდა 2013 წლის 18 აპრილს, ქ. თბილისში, ააიპ – თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციულ კორპუსში, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. №22-ში, 13,00 საათზე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

კონკურსის საშუალებით სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის შექმნის მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსის (კონკურსის N720) შედეგების განხილვა

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა თეიმურაზ შანიძემ მოახსენა საკონკურსო კომისიას, რომ 2013 წლის 16 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა, კერძოდ ფ/პ გიორგი ლავერაშვილმა , ღირებულებით 3 000,00 ლარი.

კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადება.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილად არის შესრულებული, კომისიის გადაწყვეტილებით მიეცა დადებითი შეფასება.

კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა ფ/პ გიორგი ლავერაშვილი.

კომისიამ დაადგინა:

- კონკურსანტის - ფ/პ გიორგი ლავერაშვილის მიერ წარმოდგენილი წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს;

- სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ფ/პ გიორგი ლავერაშვილი;

- კომისიის აპარატმა უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურს მიენიჭოს სტატუსი - ,,გამარჯვებული გამოვლენილია";

- სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი საკონკურსო დოკუმენტაციის მე-12 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება;

- აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს.

კომისიის თავმჯდომარე:	თამაზ ვარვარიძე
კომისიის წევრები:	რუსუდან ერისთავი
	ანი კლდიაშვილი
	ბექა ბერიძე
	ნოდარ ამაშუკელი
	ქეთევან ქავთარაძე

ალაროს შემოსავლის ორდერი # 6205187

კოდი: REPLGE22

16 აპრილი 2013 წ.

ომსახურე ანკი	სს ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალური ს/ც #11 (თავისუფლების მოედანი)
ბიმღები	ს.ს.ი.პ. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
შემომტანი	გიორგი ლევერაშვილი
საბუთის მონაცემები	პირადობის მოწმობა: გ 1404043, პირადი #: 01024074267
შემოტანის დანიშნულება	კონკურში მონაწილეობისათვის, გიორგი ლევერაშვილი, ს/ნ 203851545, უნიკალური N 720

ოპ.კოდი: 32

სახაზინო კოდი:

შემომტანი: ბანკის პასუხისმგებელი მუშაკი

მოლარე:

დებეტი ანგ. N: 90551005000000

კრედიტი ანგ. N: GE52 BR00 0001 0591 7185 43

თანხა

50.00 GEL

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

BANK REPUBLIC

S.S.I. CODE REPLGE22

48/5

14320341

ორ. 14190

კონკურსანტის რეკვიზიტები

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიულიფორმა და დასახელება: გიორგი ლევაშვილი

ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: ონიაშვილის 68

კონკურსანტისფაქტიური მისამართი:

საინდიფიკაციო კოდი: ბ. 140043, 01024074267

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: 555 37 36 67

კონკურსანტის ელექტრონული მისამართი: leverashvili@gmail.com

ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE93BG0000000031162 2500

2. საკონკუროს წინადადებისფასი: 3000 ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 16.04.2013

ხელმძღვანელის ხელმოწერა_____

გ. ლევაშვილი

სამუშო გამოცდილება

დასახელება	თარიღი	სამუშაოს აღწერა
http://ketevankemoklidze.com/	15.03.2013	საიტის დიზაინი
http://gtm21.ge/	28.03.2013	საიტის დიზაინი
http://londonschool.ge/	02.04.2013	დიზაინი
http://connect.ge/ge/	05.04.2013	საიტის დიზაინი
http://www.facebook.com/curatio.ge?fref=ts	19.03.2013	საიტის დიზაინი

გიორგი ლევერაშვილი

გ. ლევერაშვილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 75

ქ.თბილისი 19/04. 2013

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ ააიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარმოდგენილი მისი კანცლერის კახა ტრაპაიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ფ/პ გიორგი ლევერაშვილი (შემდგომში „მომწოდებელი“) ააიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ჩატარებული N720 კონკურსის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ — „ხელშეკრულება“) — „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მომწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
2.3. „მომწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
2.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
2.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურეობის შესყიდვა (CPV22314000).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3 000,00 (სამიათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და გეგმა-გრაფიკი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2. საკონკურსო პირობის მიხედვით მომწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 17 მაისის ჩათვლით წარმოადგინოს ვებ-გვერდის დიზაინი.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. მომწოდებელი პასუხისმგებელია ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ხარისხზე, ვარგისიანობასა და დროულობაზე.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას ხელშეკრულების ღირებულება დადგენილი ოდენობით.
6.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მომწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
6.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მომწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
6.5. მომწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
6.6. მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეუცვლის შემსყიდველს უხარისხო საქონელი.
6.7. მომწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანართებში არსებული მონაცემების მიხედვით.

7. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. სამუშოები შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება სამუშაოების შესრულების შემდეგ, მხარეების უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის.

8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1. მომწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი.
8.2. ყველა გამოვლენილი და დასაბუთებული ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს მომწოდებელი.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
10.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტების გაფორმების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

11. ფასები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
11.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის ცალმხრივად შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია

ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის ან/და შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მომწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
14.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, ამ შემთხვევაში ნებისმიერი მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხებისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
14.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. დავების გაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
16.2. თუ შემსყიდველი და მომწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
ააიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის	ფ/პ გიორგი ლევერაშვილი
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. N68
ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. №22	პირადი N01024074267
ს/კ 203851545	ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
ს.ს. ,,თიბისი ბანკი"	კოდი BAGAGE22
კოდი TBCBGE22	ა/ა GE93BG0000000311622500
ა/ა GE84TB4980634080100001	

კანცლერი	გიორგი ლავერაშვილი
კახა ტრაპაიძე	